

## დანართი N \_\_\_\_\_

*ქალაქები: რუსთავი, ფოთი, ზუგდიდი*

*აბონენტი \_\_\_\_\_*

*ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:*

- *აქციის დასახელება – ოპტიკური მომსახურებების აქცია*
- *აქციის პირობები:*

1. რუსთავის, ფოთის და ზუგდიდის არსებული და ახალი აბონენტები, რომლებიც აირჩევენ ოპტიკური ინტერნეტის ნებისმიერ პაკეტს, ისარგებლებენ 11 ლარის ოდენობის ფასდაკლებით ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადზე.
2. წინამდებარე აქციის ფარგლებში აბონენტებს შეეძლება ისარგებლონ ახალი სილქ ტვ პაკეტით "ექსტრა ლაითი" (პაკეტის სააბონენტო გადასახადი – 5 ლარი, პაკეტში შემაჯავალი არხები განთავსებულია "სილქნეტის" ვებ-გვერდზე: www.Silknet.com), რომლის არჩევა შეზღუდულია ცალკე მდგომი სატელევიზიო ან სატელევიზიო და სილქფონ მომსახურებით მოსარგებლე აბონენტებისთვის.
3. წინამდებარე აქციაში ჩართვისას, ოპტიკური ინტერნეტის, ოპტიკური ორმაგის (ინტერნეტი, ტელევიზია), ოპტიკური ინტერნეტის და სატელეფონო მომსახურების, ოპტიკური ინტერნეტის, სატელეფონო და სატელევიზიო მომსახურებების (არა სამმაგი), ასევე არსებული აბონენტებისათვის რომლებიც იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას (ან მომსახურებებს რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს და არ ერობებიან სამმაგ შეთავაზებაში) ინსტალაციის ღირებულება გათვალისწინებული იქნება აღნიშნული მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახადში. ოპტიკურ ინტერნეტსა და სატელეფონო მომსახურებაზე, ან ოპტიკური ინტერნეტზე, ტელევიზიასა და სატელეფონო მომსახურებაზე რეგისტრაციისას - სატელეფონო მომსახურების 7 ლარიანი პაკეტის არჩევისას 7 ლარიანი პაკეტის დამატება განხორციელდება ოპტიკური ინტერნეტის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში, ხოლო სატელეფონო მომსახურების 10 ლარიანი სააბონენტო პაკეტის არჩევის შემთხვევაში აბონენტს დამატებით დაერიცხება სააბონენტო პაკეტებს შორის სხვაობა.
4. აქციის მოქმედების პერიოდში ინტერნეტ ან სატელეფონო მომსახურების პაკეტის ცვლილების შემთხვევაში (პაკეტზე რომელზეც ვრცელდება აქცია), აბონენტს შეუნარჩუნდება აქციის პირობები.
5. აქციის მოქმედების პერიოდში მომსახურების დროებით შეჩერებისას აბონენტს შეეზღუდება აქციით სარგებლობის უფლება. ასეთ შემთხვევაში, სატელევიზიო მომსახურებაზე შეიზღუდება პაკეტი "ექსტრა ლაითი" და აბონენტს მის ნაცვლად გაუაქტიურდება პაკეტი "ლაითი".
6. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ აბონენტს შეუნარჩუნდება აქციის პერიოდში შერჩეული/შეცვლილი მომსახურების პაკეტი და მოხდება აღნიშნული პაკეტის სტანდარტული ღირებულების დარიცხვა. ამავდროულად, აბონენტს შეეზღუდება სილქ ტვ-ის პაკეტი "ექსტრა ლაითი" და მის ნაცვლად გააქტიურდება პაკეტი "ლაითი".
7. აქციის მოქმედების პერიოდში ოპტიკური ინტერნეტის გაუქმებისას აბონენტს გაუუქმდება სატელევიზიო ან/და სატელეფონო მომსახურების აქციის პირობები და აღნიშნულ მომსახურებებზე გაუაქტიურდება სტანდარტული პირობები, ხოლო სატელევიზიო მომსახურებაზე შეიზღუდება პაკეტი "ექსტრა ლაითი" და აბონენტს მის ნაცვლად გაუაქტიურდება პაკეტი "ლაითი", ხოლო ოპტიკური ტელევიზიის ან/და ოპტიკური სატელეფონო მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, აბონენტს ინტერნეტ მომსახურებაზე შეუნარჩუნდება წინამდებარე აქციის პირობები.
8. აქციის მოქმედების პერიოდში აქციაში ჩართული მომსახურებების სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაში ჩართვის შემთხვევაში აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობები.
9. რუსთავი და ფოთის აბონენტებისათვის აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2015 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო აქციის პირობებში არჩეული მომსახურებების ინსტალაციის პერიოდი კი 2015 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით \*.
10. ზუგდიდის აბონენტებისათვის აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2015 წლის 6 ოქტომბრის

ჩათვლით, ხოლო აქციის პირობებში არჩეული მომსახურებების ინსტალაციის პერიოდი კი 2015 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით. \*

\* იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მომსახურებებზე რეგისტრაციისას მე-9 და მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოხდება ინსტალაცია, აბონენტზე წინამდებარე აქციის პირობები არ გავრცელდება.

10. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვის დღიდან 1 წლის ვადით;

შენიშვნა: \_\_\_\_\_

*მხარეთა ხელმოწერები:*

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_